საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№5 პერიოდული გამოცემა 2017 წ. მაისი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები 2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები 3
4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 4
   ინფორმირებისა და სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები 10
5. წარმატებული საქმეები 12
6. მნიშვნელოვანი თარიღები 12
7. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 13
8. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 14

მაისში ფრიდრიხ ებერტის ფონდსა (FES) და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრთან (EMC) ერთად მნიშვნელოვანი კონფერენცია ჩავატარეთ საქართველოში **შრომის ინსპექციის მომავალთან** დაკავშირებით, სადაც მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებთან, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სოციალურ პარტნიორებთან და ექსპერტებთან ერთად შრომის პოლიტიკის კუთხით არსებულ გამოწვევებზე, შრომის პირობების ეფექტიანი ინსპექტირების სისტემის არსებობის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე ვიმსჯელეთ. საქართველოს პრეზიდენტთან გიორგი მარგველაშვილთან ერთად ვისაუბრეთ შრომითი უფლებების და შრომითი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე, სამუშაო ადგილებზე გარდაცვლილთა და დასახიჩრებულთა საგანგაშო სტატისტიკასა და შრომის ეფექტიანი ინსპექტირების სისტემის შექმნის აუცილებლობაზე.

თემის სიმწვავეს ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ მიმდინარე წლის 5 თვეში სამუშაო ადგილებზე 7 ადამიანის გარდაცვალების ფაქტს გამოვეხმაურეთ. ამასთან, უნდა აღვნიშნო, რომ ყველა შემთხვევა არ ხვდება მედიის თვალთახედვის არეში და რეალური ციფრი ბევრად უფრო შემაძრწუნებელია.

მაისში ტყიბულის მინდელის სახელობის მაღაროში 400 მეტრის სიმაღლიდან ლიფტი ჩავარდა, რამაც **ლიფტში მყოფი 4 მაღაროელის სიცოცხლე შეინირა**; თბილისში, მშენებლობაზე დასაქმებული **მუშა სიმაღლიდან გადმოვარდა და დაიღუპა**. ვუსამძიმრებ გარდაცვლილთა ოჯახების წევრებს და კიდევ ერთხელ მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს გადადგას კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. შექმნას შესაბამისი ნორმატიული ბაზა და შრომის უსაფრთხოებისთვის საჭირო რეგულაციების შესრულებაზე ზედამხედველი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც აღჭურვილი იქნება შესასრულებლად სავალდებულო მითითებების გაცემისა და შესაბამისი სანქციების გამოყენების უფლებამოსილებით.

გასულ თვეს განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია თურქეთის მოქალაქის მუსტაფა ემრე ჩაბუქის დაკავებამ და **თურქეთის რესპუბლიკაში მისმა შესაძლო ექსტრადიციამ.** საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა იგი თურქეთის რესპუბლიკის მოთხოვნით დააკავეს და სამი თვის ვადით საექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდეს. ჩაბუქს თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლება პრეზიდენტის და ხელისუფლების მოწინააღმდეგედ მიიჩნევს და ექსტრადიციის შემთხვევაში წამების საფრთხე ემუქრება.

მოვუწოდებ საქართველოს შესაბამის ორგანოებს, რომ ექსტრადიციის საკითხის განხილვისას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შეისწავლონ შესაძლო არასათანადო მოპყრობის რისკები და გადაწყვეტილების მიღებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებით იხელმძღვანელონ.

აქვე მინდა გავიხსენო **აზერბაიჯანელი ჟურნალისტის** აფგან მუხთარლის გაუჩინარება, რომელიც თავისი კრიტიკული ჟურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე აზერბაიჯანის ხელისუფლებას გამოერიდა და უსაფრთხოების იმედით საქართველოში დასახლდა. ჯერ–ჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო, ჟურნალისტი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა დაკავებული.

დარწმუნებით ვაცხადებ, რომ საქართველოში მცხოვრებ უკლებლივ ყველა პირს უნდა ჰქონდეს უსაფრთხოებისა და კანონიერი, სამართლიანი მოპყრობის განცდა. არ უნდა გაჩნდეს რაიმე ეჭვიც კი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სახელმწიფო თვალს ხუჭავს დანაშაულზე ან გულგრილად ეკიდება მის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ბედს.

ქვემოთ მოცემულ საინფორმაციო ბიულეტენში იხილავთ ჩვენს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს, საჯარო განცხადებებს, წარმატებით დასრულებულ საქმეებს. ასევე გაეცნობით ინფორმაციას სპეციალური პრეზენტაციების შესახებ.

2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები

2.1. ე.წ. ციანიდის საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესების შესახებ

5 მაისს გამართულ წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა ე.წ. ციანიდის სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესის სრულად დახურვის შესახებ, რაც საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, არ ემსახურება საგამოძიებო და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

სამწუხაროდ, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას მოსამართლეს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ წარმოადგენდა სხდომის სრულად დახურვა უკიდურეს, თანაზომიერ და პროპორციულ საშუალებას სასამართლო სხდომის საჯაროობით გათვალისწინებული სიკეთეების დასაცავად.

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სასამართლო პროცესის საჯაროობა საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სხვა არაერთი აქტით დაცული უფლებაა, რომლის შეზღუდვა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს.

30 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ **სახალხო დამცველი ე.წ. „ციანიდის საქმის“ პროცესზე** იმ მოტივით არ დაუშვა, რომ

საპროცესო კანონმდებლობა სახელდებით არ შეიცავს ნორმას დახურულ პროცესზე სახალხო დამცველის დასწრების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს და შეისწავლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, სასამართლო სისტემაშიც. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სახალხო დამცველს ასევე უფლება აქვს, გაეცნოს საიდუმლო, მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას.

სახალხო დამცველი პატივის სცემს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების ინტერესებს.

2.2. განცხადება სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების შესახებ დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებზე

საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ინიცირებულ ცვლილებებს გამოეხმაურა და მოუწოდა საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს მთავრობას, გადადგან ქმედითი ნაბიჯები სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის არსებული მექანიზმის ძირეული რეფორმის მიმართულებით და მიუახლოვონ სისტემა ადამიანის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებულ სტანდარტებს. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ რეპრესიული მიდგომების ნაცვლად, შეიმუშაოს ისეთი ხედვა, რომელიც მიმზიდველს გახდის სამხედრო სამსახურს.

2.3. განცხადება ბავშვის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე

24 მაისს ინტერნეტგადაცემა „ბავშვების დროს“ მიერ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერი ბავშვის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს ხდის, რითიც, სახალხო დამცველის აზრით, შეილახა ბავშვის ღირსება და შესაძლოა მომავალში დამანგრეველი ეფექტი იქონიოს მის პიროვნულ განვითარებაზე.

არასრულწლოვნების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას აუცილებელია, მედია განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს ინფორმაციის მომზადების და გაცემის პროცესს და დაიცვას საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით გათვალისწინებული სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტები.

სახალხო დამცველი მოუწოდებს პროკურატურას და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აღნიშნულ შემთხვევაზე რეაგირების მიზნით, გაატარონ ყველა შესაბამისი ღონისძიება მათი კომპეტენციის მიხედვით.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები

3.1. ზოგადი წინადადება დისკრიმინაციული ვაკანსიების აღმოფხვრის მიზნით მექანიზმის შემუშავების შესახებ

5 მაისს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეიმუშავოს სახელმძღვანელო პრინციპები ვაკანსიის შესახებ განცხადებების ფორმულირების, არადისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შესახებ, რათა განცხადება ორიენტირებული იყოს სამუშაოს სპეციფიურ ელემენტზე და არ იწვევდეს პირთა ჯგუფის რაიმე ნიშნით ავტომატურ გამორიცხვას.

ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოუწოდა, შემუშავდეს მექანიზმი, რომლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველს მიენიჭება უფლებამოსილება გამოავლინოს სამართალდარღვევა და შეადგინოს ოქმი, რის შემდეგაც, სამართალდარღვევის არსებობის შეფასების უფლებამოსილება მიენიჭება საერთო სასამართლოებს.

3.2. რეკომენდაცია მესამე პირების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვის შესახებ

30 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ბათილად ცნოს ერთ–ერთ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე უნებართვო მიშენების ლეგალიზების შესახებ ბრძანება და გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად მიიღოს ახალი გადაწყვეტილება მესამე პირების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

მეზობლის ბინაზე უნებართვო მიშენებამ მოქალაქის საცხოვრებელ სახლს ჰაერისა და სინათლის ნაკადი დაუფარა და საფრთხე შეუქმნა ოჯახის ჯანმრთელობას.

3.3. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია გენდერული ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

31 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა ტაქსის მძღოლ გ.გ.-სა და ტაქსის კომპანია „Maxim-ს“ (შპს „ტექნოკომი“) გენდერული იდენტობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა, ვინაიდან ტრანსგენდერ ქალს უარი ეთქვა ტაქსით მომსახურებაზე.

სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა მძღოლისა და კომპანიის პასუხისმგებლობას უზრუნველყონ, რომ მათი სერვისით სარგებლობა თანასწორად შეძლოს ყველა ადამიანმა. ამასთან, შპს „ტექნოკომმა“ უნდა შეიმუშავოს რეგულაცია, სადაც განსაზღვრული იქნება კომპანიის ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკა კლიენტების მომსახურებისას და „Maxim“-ში გაწევრიანებისას მძღოლებს მიაწოდოს ინფორმაცია კომპანიის ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკის შესახებ, რაც გაწევრიანების წინაპირობა იქნება.

3.4. რეკომენდაცია კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებულ შშმ პირებს შორის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ

31 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა და რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას – საჯარო სამსახურში დასაქმებული მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შშმ პირები უზრუნველყოს არსებული ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სოციალური პაკეტით.

სახალხო დამცველმა განმარტა, რომ საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ ერთნაირი შეზღუდვის მქონე პირებს, განსხვავებულად ეპყრობიან. თანაბარი საჭიროებები აქვთ, შესაბამისად, დასაქმების სფეროს მიუხედავად, თანაბარია მათი ინტერესი, მიიღონ გათვალისწინებული სოციალური პაკეტი.

3.5. სახალხო დამცველმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა

31 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა და რეკომენდაციით მიმართა სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ – აღმოფხვრას დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგი სამუშაოზე აღდგენის გზით. ასევე, მომავალში თავი შეიკავოს შრომით ურთიერთობაში პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობისაგან და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით.

2017 წლის იანვარში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 13 თანამშრომელს ერთთვიანი შრომითი ხელშეკრულებები დაუდეს, რომლის ვადის გასვლის შემდეგ, შრომითი ურთიერთობა მხოლოდ ლ.მ.–ს აღარ გაუგრძელეს, რაც არათანასწორი მოპყრობის ეჭვს წარმოშობს, მითუმეტეს, რომ ლ.მ. აქტიურად საქმიანობდა პროფესიულ კავშირში და განსხვავებულ და კრიტიკულ მოსაზრებების აფიქსირებდა საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებულ პრობლემებზე.

4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

4.1. საჯარო დებატები თემაზე – „ქალთა, შშმ პირთა და ბავშვთა შრომა: პრობლემები და გამოწვევები“

1 მაისს სახალხო დამცველის მორიგ საჯარო დებატებზე ქალთა, შშმ პირთა და ბავშვთა შრომის საკითხები განიხილეს, რომელზეც უჩა ნანუაშვილმა მოკლედ მიმოიხილა მოწყვლადი ჯგუფებისთვის შრომის სფეროში არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და განსახორციელებელი ღონისძიებები, შრომის კანონმდებლობისა და პრაქტიკის ხარვეზები.



სახალხო დამცველის მოადგილემ ეკატერინე სხილაძემ ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ ჩატარებული კვლევები წარმოადგინა; ყურადღება გაამახვილა წინასახელშეკრულებო შრომით ურთიერთობებზე, დასაქმების ადგილზე სექსუალური და სქესის ნიშნით შევიწროების, ორსულობისა და ოჯახური მდგომარეობის გამო სამსახურში არ მიღებისა თუ სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტებზე.

დებატებზე მოხსენებით გამოვიდნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დე-

პარტამენტის ხელმძღვანელი ელზა ჯგერენაია, თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის დირექტორი თამარ მახარაძე და ორგანიზაცია „ქალთა მზერის“ წარმომადგენელი გვანცა ხონელიძე. ღონისძიებას უძღვებოდა ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ პროექტების მენეჯერი ანა არგანაშვილი.

4.2. კონფერენცია „ანტიდისკრიმინაციული კანონის მოქმედების 3 წელი: მიღწევები, გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები“

2 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა კონფერენცია გამართა თემაზე – ანტიდისკრიმინაციული კანონის მოქმედების 3 წელი: მიღწევები, გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები, რომელზეც სახალხო დამცველმა, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საერთო სასამართლოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კანონის ხარვეზების და მისი გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საკუთარი ხედვა წარმოადგინეს.

ღონისძიებას საქართველოს ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

4.3. ტრენინგი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისათვის

1–3 მაისს ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერა II“ ფარგლებში, სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: „პრევენციის ეროვნული მექანიზმის სამუშაო მეთოდოლოგია და საერთაშორისო სტანდარტები.“

მოწვეული ექსპერტმა მიკოლა გნატოვსკიმ (წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის პრეზიდენტი) და სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ ტრენინგის მონაწილეებს წამების პრევენციის კონცეფცია, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის პრაქტიკული ასპექტები, სამუშაო ინსტრუმენტები და საერთაშორისო სტანდარტები გააცნეს.

4.4. სახალხო დამცველი ქვემო ქართლის მოსახლეობას და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა



3-4 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ქვემო ქართლში, დმანისისა და გარდაბანის მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლებს შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა. რეგიონის მოსახლეობა სოციალურ გაჭირვებას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობას, წყლისა და ტრანსპორტის პრობლემას, ასევე ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას უჩივის. კვლავ მწვავედ დგას სახელმწიფო ენის არცოდნის, ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ოჯახში ძალადობის საკითხები. დმანისის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი „მთის კანონის“ შესაბამისად სტატუსის მინიჭების მოლოდინშია; ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უსახლკარო პირთათვის სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფაა.

მოსახლეობის პრობლემებზე სახალხო დამცველმა დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელთან გოგი ბარბაქაძესთან, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელთან კახა გუგეშაშვილთან და გუბერნატორის მოადგილესთან ნუგზარ სალიასთან ისაუბრა.

რეგიონში ვიზიტის დასასრულს უჩა ნანუაშვილმა საჯარო ლექცია გამართა რუსთავის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თვალსაზრისით ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა და სტუდენტებს სახალხო დამცველის მანდატი გააცნო.

4.5. ევროკავშირის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი

10 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოს 56 მოქალაქის დაბრუნების პროცესს დაესწრნენ. პროცესს კოორდინირებას უწევდა ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსი (FRONTEX)“.

დაბრუნების ოპერაციამ მშვიდად ჩაიარა, თუმცა, დაფიქსირდა რამდენიმე ხარვეზი. კერძოდ, კვლავ არ ხდება დასაბრუნებელ პირთა ინფორმირება საქართველოში ჩამოფრენის ზუსტი დროის შესახებ. ასევე, პრობლემად რჩება დასაბრუნებელი პირების ოჯახთან სატელეფონო კონტაქტის უზრუნველყოფა.

4.6. სახალხო დამცველის ვიზიტი ზაგრებში

11-12 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი ლარა ჯამარაული ხორვატიის ქალაქ ზაგრებში დაესწრნენ ხორვატიის ომბუდსმენის აქტის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც ჩატარდა ხორვატიის ომბუდსმენის ლორა ვიდოვიჩის ორგანიზებით.

კონფერენციის – „ადამიანის უფლებათა აღდგენა ევროპაში: როგორ გავაძლიეროთ დემოკრატიული სივრცე?“ მონაწილეებმა განიხილეს ტერორიზმთან ბრძოლის, გამოხატვის თავისუფლებისა და თანაცხოვრების საკითხები; აგრეთვე ადამიანის უფლებათა ინსტიტუტებისა და თანასწორობის ორგანოების როლი დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შენარჩუნებაში.

გარდა ამისა, სახალხო დამცველი დაესწრო ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის საკოორდინაციო კომიტეტის სხდომას, სადაც ქსელის ადმინისტრაციული, მართვისა და ფინანსური საკითხები განიხილეს.

4.7. რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები სახელმწიფო უწყებების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მედიაორგანიზაციებისადმი

15 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები წარმოადგინა, რომელსაც სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დოკუმენტში ასახულია საქართველოში რელიგიური უმცირესობების წინაშე არსებული გამოწვევები და წარმოდგენილია ამ გამოწვევის გადაჭრის გზები, მათ შორის, კანონმდებლობაში არსებული ნორმების ცვლილების აუცილებლობა.

4.8. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობა

15 მაისს სახალხო დამცველმა სხვადასხვა სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელზეც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხები, ამ მიმართულებით სახალხო დამცველის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და პრობლემების მოგვარების გზები განიხილეს; ისაუბრეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდებარე ძალადობის მსხვერ-

პლთა თავშესაფარსა და რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამაზე.

აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციები შეიმუშავა საქართველოს მთავრობისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი.

4.9. ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების ქსელის (ENOC) სემინარი ბავშვთა დაცვის საკითხებზე

15–17 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის თანამშრომელმა მარიამ ბოჭორიშვილმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების ქსელის (ENOC) ორგანიზებითა და ბულგარეთის რესპუბლიკის ომბუდსმენის აპარატის მხარდაჭერით გამართულ სემინარში, რომელზეც განიხილეს ბავშვთა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების გაძლიერების და დამოუკიდებლობის, ასევე, არასრულწლოვანთა სექსუალური განათლების სასწავლო პროგრამებში ინტეგრირებისა და დანერგვის საკითხები. კონფერენცია ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაიმართა.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა დამსწრეთ ბავშვის უფლებების თვალსაზრისით საქართველოში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა; ხაზი გაუსვა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საჭიროებას გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპების განხორციელების, ბავშვის მიმართ ძალადობის აღმოფხვრის, ბავშვის უსაფრთხოების და განათლების სათანადო დონის უზრუნველსაყოფად.

4.10. შეხვედრა ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე

17 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე, რომელზეც სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

შეხვედრაზე მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ზაზა სოფრომაძე და ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო მახაშვილი. მონაწილეებმა დისკუსიის ფორმატში განიხილეს სტაციონარული და ამბულატორიული ფსიქიატრიული დახმარების, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების, ალტერნატიული სათემო სერვისების განვითარების, ასევე ფსიქიატრიული დაწესებულებების პრივატიზაციის საკითხები.

4.11. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის სამუშაო ჯგუფის ყოველწლიური შეხვედრა

17-18 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ რუსუდან კოხოძემ ბელგიის ქალაქ ბრიუსელში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის სამუშაო ჯგუფის ყოველწლიურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრა ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) ორგანიზებით გაიმართა.

4.12. საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სახალხო დამცველის წლიური ანგარიში მოისმინეს

18 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 2016 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიში წარადგინა. თავის გამოსვლაში უჩა ნანუაშვილმა მოკლედ მიმოიხილა საპარლამენტო ანგარიშში ასახული ყველა მიმართულება და ძირითადი გამოწვევები. ისაუბრა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ქვეყანაში მიმდინარე დადებით და უარყოფით ტენდენციებზე; კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებებზე.

მოხსენების შემდეგ სახალხო დამცველმა პარლამენტართა შეკითხვებს უპასუხა.

სხდომაზე საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ სოფიო კილაძემ საქართველოს პარლამენტს სახალხო დამცველის ანგარიშის შესრულების შესახებ დადგენილების პროექტი წარუდგინა, რომელშიც სახალხო დამცველის რეკომენდაციათა მხოლოდ ნაწილია ასახული. დადგენილება საქართველოს პარლამენტს ჯერ არ მიუღია.

4.13. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება შშმ ბავშვის სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით

19 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა შშმ ბავშვის სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, სადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, ირიბი დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენის ტესტი წარმოადგინა; ასევე ყურადღება გაამახვილა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხსა და გონივრული მისადაგების პრინციპზე.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის დადგენილებით, დღის ცენტრების ქვეპროგრამა აღარ ითვალისწინებს მძიმე გონებრივი ჩამორჩენისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვთათვის უსაფრთხოების და ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფას. შედეგად, ბავშვი ერთვება ბინაზე მოვლის პროგრამაში, ეზღუდება სოციალურ გარემოსთან ურთიერთობა და შესაბამისად, ფერხდება მისი განვითარება.

4.14. შპს „აკად. ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მონიტორინგი

22-25 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტმა მონიტორინგი განახორციელეს ხონის მუნიციპალიტეტის სოფელი ქუტირში მდებარე შპს „აკად. ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“.

შემოწმების შედეგად დადებით ძვრებთან ერთად სერიოზული პრობლემები გამოიკვეთა. გამოწვევას წარმოადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მწირი დაფინანსება, რაც იწვევს პერსონალის სიმცირეს, მის დაბალ კვალიფიკაციას, სოციალური დაცვის გარანტიების არარსებობას, დაწესებულების გადატვირთულობას. გამო ვერ ხერხდება სომატური დაავადებების გამოკვლევა და მკურნალობა. სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით პაციენტების ყოფა შეიძლება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას გაუტოლდეს.

ისევ პრობლემურია ექიმისა და პაციენტების ურთიერთობის კონფიდენციალურობის დაცვის, პაციენტების ინფორმირებულობის და მკურნალობის პროცესში ჩართულობის საკითხები; ვერ ხერხდება პაციენტების ოჯახის წევრებთან ურთიერთობის სათანადოდ უზრუნველყოფა და შესაბამისი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

4.15. საქართველო-აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

23 მაისს საქართველო–აშშ–ს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის რიგით მე–10 შეხვედრაზე საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და მედიის თავისუფლების საკითხები განიხილა; ხაზგასმით ისაუბრა საკონსტიტუციო რეფორმის ხარვეზებზე, მათ შორის, შრომის უფლებების ეფექტიანი განხორციელების სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოსა და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე, რომლებიც კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტში არ ასახულა; უარყოფითად შეაფასა სახალხო დამცველის საქმიანობის მარეგულირებელ მუხლში დაგეგმილი ცვლილების ის ნაწილი, რომელიც ინსტიტუტის მანდატის შესუსტებას გამოიწვევს.

22 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა **ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ხელმძღვანელებს** თავის ოფისში უმასპინძლა და ინფორმაცია მიაწოდა მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმისა და მართლმსაჯულების რეფორმის შესახებ; ისაუბრეს სამართალდამცავ სტრუქტურებში არსებულ მდგომარეობაზე, ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით მდგარ გამოწვევებზე, შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

4.16. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის სემინარი თანასწორობის ინსტიტუტებისთვის

23-24 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ეკატერინე სხილაძემ საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის სემინარში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრას ესწრებოდნენ ევროპული კომისიის წევრები და თანასწორობის მექანიზმების წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებიდან.

საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ხაზი გაუსვა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის N2 ძირითად რეკომენდაციაში ცვლილებების ასახვის მნიშვნელობას და ისაუბრა იმ სპეციფიკასა და მანდა-

ტზე, რაც თანასწორობის მექანიზმს საქართველოში გააჩნია. ამასთან, ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანასწორობის მექანიზმების მისაწვდომობის უზრუნველყოფის ასახვის დადებით მხარეზე, რადგან აღნიშნული საკითხი, შესაბამისი შენობის არ არსებობის გამო, საქართველოს სახალხო დამცველის წინაშე მდგარ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

4.17. პორტუგალიის ომბუდსმენის გამოცდილების გაზიარება თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვის საკითხებში

24–26 მაისს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში საქართველოს სახალხო დამცველისა და პორტუგალიის ომბუდსმენის ინსტიტუტებს შორის მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა საკითხებზე გამოცდილების გაზიარების მიზნით შეხვედრები გაიმართა.

საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები თამთა პაპუაშვილი და ბექა ჯავახაძე ვიზიტის ფარგლებში შეხვდნენ პორტუგალიის ომბუდსმენის ოფისის წარმომადგენლებს, ასევე თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები და განსახლების ცენტრების ხელმძღვანელ პირებს; გაეცნენ მიგრანტებისა და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთათვის პორტუგალიაში მოქმედი ინტეგრაციის პროგრამებს, რომლებიც ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკად ითვლება.

4.18. საქართველოს სახალხო დამცველმა ვენეციის კომისიას მიმართა საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით

25 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ვენეციის კომისიას თხოვნით მიმართა საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებების პროექტის შეფასებისას მხედველობაში მიიღოს ის ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც არ მოხდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის ფარგლებში. ამასთან, ვენეციის კომისიისთვის განკუთვნილ წერილში სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ ცვლილებებზე, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით განმტკიცებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განვითარების, დაცვის და განხორციელების სტანდარტის შესუსტებას ისახავს მიზნად.

4.19. შეხვედრა სამხედრო ასოციაციების ევროპული ორგანიზაციის პრეზიდენტთან

29 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი სამხედრო ასოციაციების ევროპული ორგანიზაციის პრეზიდენტს ემანუელ იაკობს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე და თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ გაბიანი.

მხარეებმა სამხედრო სამსახურში ადამიანის უფლებების მხრივ ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ასოციაციების საკითხი განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სამხედრო მოსამსახურეთა ასოციაციებსა და პროფესიულ კავშირებში გაერთიანების უფლებაზე.

შეხვედრაზე საქართველოს სახალხო დამცველი და სამხედრო ასოციაციების ევროპული ორგანიზაციის პრეზიდენტი სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

4.20. სპეციალური ანგარიში ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის შესახებ

29 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა საქართველოს მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის, აკადემი-

ისა და მედიის წარმომადგენლებს „ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობისა“ და „ოჯახში ძალადობისგან დამცავი მექანიზმების“ შესახებ სპეციალური ანგარიშები წარუდგინა და ეკონომიკური კეთილდღეობის და ინკლუზიურ, წარმომადგენლობით–პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით გენდერული თანასწორობის გავლენაზე ისაუბრა.

4.21. ტრენინგი ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის საკითხებზე

29–30 მაისს პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობის შესწავლაში“ ფარგლებში გაიმართა ტრენინგი სახალხო დამცველის აპარატის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების, საქმისწარმოების, დაინტერესებულ პირთა მიღებისა და არქივის დეპარტამენტების იმ თანამშრომლებისთვის, რომელთაც შეხება აქვთ თავშესაფრის მაძიებლებსა და ლტოლვილებთან და მუშაობენ მათ საქმეებზე.

4.22. კონსტიტუციური სარჩელი ფარული საგამოძიებო მოქმედებების მომწესრიგებელი კანონმდებლობის კონსტიტუციურობის საკითხზე

31 მაისი. სახალხო დამცველმა ფარული საგამოძიებო მოქმედებების (ე.წ. ფარული მოსმენების გასაღების) მომწესრიგებელი, საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 22 მარტს მიღებული კანონმდებლობის კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებით სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ახალი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ–ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ კანონის თანახმად შექმნილი სსიპ ოპერატიულ–ტექნიკური სააგენტო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი ორგანოა და მისი ინსტიტუციური მოწყობა, დაკომპლექტების წესები, შინაარსობრივი ფუნქციები ცხადყოფს, რომ იგი წარმოადგენს პროფესიულად დაინტერესებულ უწყებას, რომელსაც კვლავ აქვს პირდაპირი და უკონტროლო წვდომის შესაძლებლობა სატელეფონო და ინტერნეტ–კომუნიკაციაზე, ისევე როგორც, კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე. შესაბამისად, არ არის ნეიტრალური და დამოუკიდებელი ორგანო და ვერ პასუხობს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით დადგენილ სტანდარტებს.

4.23. შეხვედრა საარჩევნო პროცესის გამოწვევების შესახებ

31 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციების, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საარჩევნო პროცესის მონიტორინგისას აღმოჩენილი გამოწვევების შესახებ სპეციალური კვლევა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის აუცილებელი რეკომენდაციები წარუდგინა.

არჩევნების მონიტორინგის პროცესმა აჩვენა, რომ ამომრჩევლის ინფორმირებისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა არ იყო საკმარისი, რამაც ამომრჩევლების ნაწილს, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ბევრი უპასუხო კითხვა გაუჩინა. აღსანიშნავია ფიზიკური დაპირისპირების რამდენიმე შემთხვევა, სადაც საწყის ეტაპზე პოლიციის მუშაკები დამკვირვებლის როლით კმაყოფილდებოდნენ.

სახალხო დამცველის მოსაზრებით, დარღვევების უმრავლესობის აღმოფხვრა საარჩევნო ადმინისტრაციის მიზანმიმართული გადამზადების შედეგად იქნება შესაძლებელი.

ინფორმირებისა და სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები

4.24. ტრენინგები თბილისის საშუალო სკოლებში თემაზე – „ბავშვი და პოლიცია“

იანვარი-მაისის პერიოდში სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ თბილისის თორმეტი საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის მოკლე ტრენინგ-კურსები ჩაატარა, რომელსაც სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლები უძღვებოდნენ. აღნიშნულ საგანმანათლებლო აქტივობას ჯამში 450-ზე მეტი სკოლის მოსწავლე დაესწრო. კურსის ძირითადი თემა იყო 14 წელს ზემოთ ახალგაზრდების უფლებები სამართალდამცავ სტრუქტურებთან შემხებლობისას. კერძოდ, პირის მიმართ საპოლიციო ღონისძიებების (შეჩერება, გამოკითხვა, იდენტიფიცირება და სხვა.) ან/და სისხლისსამართლებრივი პროცედურების (დაკავება, ჩხრეკა, დაკითხვა) განხორციელებისას არასრულწლოვანთა დამცავი უფლებრივი გარანტიები.

4.25. შეხვედრა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან

11 მაისს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის ღონისძიებების ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის თანამშრომლები რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებს შეხვდნენ და შშმ პირთა უფლებების რეალიზების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებზე, საქართველოს სახალხო დამცველის მანდატზე, შშმ პირთა უფლებების კონვენციაზე, ადგილობრივ დონეზე აღნიშნულ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნის მნიშვნელობაზე და ბიუჯეტირების პროცესში მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

4.26. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტისა და რეგიონული დეპარტამენტის საინფორმაციო შეხვედრები

მაისში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, რეგიონულ დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, საქართველოს რეგიონებში რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა გამართეს, რომელზეც გენდერული თანასწორობის საკითხები განიხილეს. **23 მაისს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში** სექსუალური შევიწროების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა, რომელსაც საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ.

24 მაისს თელავისა და ყარაჯალას საჯარო სკოლებში მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ერთად ოჯახში ძალადობასა და ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით ისაუბრეს. შეხვედრაზე განიხილეს ადრეულ ასაკში ქორწინების ფორმები, თანმდევი რისკები და გამომწვევი მიზეზები. ასევე ოჯახში ძალადობის ფორმები და დაცვის მექანიზმები.

18 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს **მცხეთა–მთიანეთის რეგიონის რამდენიმე სოფლის სკოლის მოსწავლეები** ესტუმრნენ და გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ოჯახში ძალადობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების გამომწვევი მიზეზები, ფორმები, შედეგები და არსებული პრაქტიკა განიხილეს; გაეცნენ საქართველოში არსებულ სერვისებსა და საკანონმდებლო ცვლილებებს, „სტამბოლის კონვენციის“ რატიფიცირების მნიშვნელობას, სახალხო დამცველის მანდატს, საქმიანობის მიმართულებებისა და მომართვიანობის შესაძლებლობებს.

4.27. ტრენინგი მასწავლებლებისთვის თანასწორობის საკითხებზე

24-25 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა საჯარო სკოლის მასწავლებლებისთვის ჩაატარეს ტრენინგი თემაზე „თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს დუისის, თბილისის N2, თბილისის N41, ჭელას, მოხეს, ახალციხის N2, თერჯოლას N2, ნიგვზიანის და ქობულეთის N2 საჯარო სკოლების 40–მა მასწავლებელმა.

დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სახალხო დამცველის, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის ერთ-ერთი ვალდებულებაა.

4.28. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის სალექციო კურსი სტუდენტებისთვის

24-25 მაისს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ორგანიზებით, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს ლექციები ჩაუტარეს ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების კუთხით, უმცირესობათა დაცვის მხრივ საქართველოში არსებულ მდგომარეობასა და ძირითად გამოწვევებზე, დისკრიმინაციაზე, მოქალაქეთა უფლებებზე პოლიციასთან მიმართებაში.

ლექციებზე განიხილეს ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული მაგალითები და მათზე რეაგირების პრაქტიკა, სახალხო დამცველის მანდატი და მისი როლი უფლებადარღვევების პრევენციის საქმეში.

5. წარმატებული საქმეები

5.1. ოჯახში ძალადობის პრობლემა დაძლევადია

ნ.ჯ. ყოფილი მეუღლის მხრიდან განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, რაც ხშირად მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით ხორციელდებოდა. დამცავი ორდერის, უამრავი გაფრთხილებისა და ხელწერილის მიუხედავად, ყოფილი მეუღლე მაინც აგრძელებდა ფიზიკურ ძალადობასა და მუქარას. პრობლემა კვლავ რჩებოდა და ქალს არ ეძლეოდა მშვიდად ცხოვრების საშუალება.

სახალხო დამცველის მიერ საქმის შესწავლისა და ძალადობის შემთხვევაზე შედეგის მიღწევის შემდეგ, განმცხადებელმა დასძლია განგრძობითი და განმეორებითი ძალადობის შედეგად მიყენებული ტრავმა. ნ.ჯ. დღეს თავად არის უფლებადამცველი, რომელიც მუშაობს სხვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების დასაცავად. მეტიც, მან რამდენიმე ხნის წინ ჩააბარა პოლიციის აკადემიაში, რომ უფრო ეფექტურად შესძლოს ძალადობის მსხვერპლი ქალების დახმარება და დღეს უკვე საპატრულო პოლიციაში მუშაობს.

5.2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაიზიარა

საქართველოს სახალხო დამცველის **წინადადების თანახმად, 26 მაისს** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, რომ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამით სარგებლობას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტის მქონე პირებიც შეძლებენ. აღიშნული პროგრამა მანამდე მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირთათვის იყო ხელმისაწვდომი.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან თავდაპირველი წერილის თანახმად, ასეთი ცვლილება შეუძლებელი იყო პროგრამის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე. თუმცა, მოგვიანებით, სახალხო დამცველს აცნობეს სამინისტროსა და ფარმაცევტულ კომპანია „გილადს“ შორის შემდგარი შეთანხმების თაობაზე, რომ პროგრამაში ნეიტრალური დოკუმენტების მქონე პირებიც ჩართულიყვნენ.

6. მნიშვნელოვანი თარიღები

6.1. ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე

17 მაისს, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, საქართველოს სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ ისაუბრა 2013 წლის 17 მაისს მომხდარი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დროული, ეფექტიანი და ანგარიშვალდებული გამოძიების წარმართვასა და ლგბტი ადამიანების წინაშე მდგარი სხვა გამოწვევების გადაჭრის აუცილებლობაზე.

სამწუხაროდ, ლგბტი ადამიანები თავს დაცულად ვერ გრძნობენ ისეთი მნიშვნელოვანი უფლებებით სარგებლობისას, როგორიცაა განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა. ამ ფონზე სახელმწიფოს მიერ, ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები მინიმალურია და ფორმალურ ხასიათს ატარებს.

6.2. კავკასიური ომების მსხვერპლთა ხსოვნის დღე

21 მაისს კავკასიაში რუსულ-კავკასიური ომების მსხვერპლთა ხსოვნის დღე აღინიშნება. 1864 წლის 21 მაისს კრასნაია პალიანაზე ადიღეელები, უბიხები და აფხაზები დამარცხდნენ. ომებისა და მუჰაჯირობის შედეგად ფაქტობრივად გაქრა ამ ხალხების კვალი მათი საცხოვრებელი ადგილებიდან, დაიკარგა მათი მატერიალური კულტურა და ენა. 1864-1877 წლებში კი 80 000-მდე აფხაზი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სამშობლო. მუჰაჯირობა აჭარასა და სამცხე-ჯავახეთის 150 000–მდე ქართველ მუსლიმსაც შეეხო.

სახალხო დამცველი პატივს მიაგებს კავკასიური ომების მსხვერპლთა ხსოვნას. საჭიროა სათანადოდ გაანალიზებულ იქნას ეს მოვლენები და მათი შედეგები, ისევე, როგორც მათი გავლენა დღევანდელ კონფლიქტებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მსგავსი ქმედებები მომავალში.

6.3. 31 მაისი „თამბაქოს გარეშე“ მსოფლიო დღეა

1987 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 31 მაისი „თამბაქოს გარეშე“ მსოფლიო დღედ გამოაცხადა. 2017 წლის 31 მაისის თემაა – „თამბაქო განვითარების საფრთხეა.“

2017 წლის თებერვალში საქართველოს სახალხო დამცველმა ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის სფეროში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მისამართით მთელი რიგი რეკომენდაციებია გამოქვეყნებული.

7. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

7.1. ბელშანი რუმინეთის წინააღმდეგ

23 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ბელშანი რუმინეთის წინააღმდეგ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ სათანადო ძალისხმევას არ მიმართავს. მომჩივანი აცხადებდა, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მეუღლის მხრიდან ძალადობისგან მისი დაცვა და არაერთი საჩივრის მიუხედავად, მოძალადის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.

სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა და მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, რადგანაც განმცხადებლის მიმართ ძალადობა გენდერულ საფუძველზე ხორციელდებოდა.

საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, განმცხადებელი მთელი ქორწინების განმავლობაში – 1979 წლიდან მეუღლისაგან განიცდიდა ძალადობას. ძალადობას განიცდიდა მათი ოთხი შვილიც. 2007–2008 წლებში, განქორწინების პროცესის მიმდინარეობისას მეუღლე განმცხადებელს რვაჯერ დაესხა თავს. ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებები ორიდან ათ დღემდე სამედიცინო დახმარებას საჭიროებდა. მომჩივანი დახმარებას ითხოვდა პოლიციაში გადაუდებელი ზარებით, პოლიციის უფროსისადმი წერილობითი განცხადებებით და სისხლის სამართლებრივი საჩივრებით. გამოძიებამ და ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ განმცხადებელმა თავად მოახდინა ძალადობის პროვოცირება და ინციდენტები არ იყო საკმარისად სერიოზული, რომ მოქცეულიყო სისხლის სამართლის კანონის მოქმედების სფეროში. ეროვნული სასამართლოები ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებით შემოიფარგლნენ.

სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ოფიციალურ სტატისტიკაზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ რუმინეთის მოსახლეობის უმრავლესობა ოჯახში ძალადობას ნორმალურ მოვლენად მიიჩნევდა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი შესაძლოა არ იყოს საკმარისად ინფორმირებული იმ ფართო სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოს შესახებ, რომელიც ქვეყანაში არსებობს ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. როგორც ჩანს, არც ხელისუფლება აფასებდა სათანადოდ რუმინეთში ოჯახში ძალადობის სერიოზულობას და მასშტაბებს, რაზეც მიუთითებს ამ საქმეში შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების გამოუყენებლობის ფაქტი. აღნიშნული უმოქმედობა, ქალბატონი ბელშანის, როგორც ქალის მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ძალადობა გენდერული იდენტობის საფუძველზე მოხდა, რაც ქალთა დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა. მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ მსგავსი ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად და პრევენციის მიზნით კანონი და ეროვნული სტრატეგია მიიღო, სასამართლო სისტემის უმოქმედობა და მოძალადის დაუსჯელობა, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში რუმინეთის ხელისუფლების მხრიდან სათანადო ძალისხმევის ნაკლებობაზე მიუთითებს.

7.2. საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International–ის განცხადება

26 მაისს გამოქვეყნებულ განცხადებაში, საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ Amnesty International–მა მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას მიიღოს გადაუდებელი ზომები, რათა არ დაუშვას საქართველოდან დემირელის კერძო კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის, პროფესორ მუსტაფა ემრე ჩაბუქის თურქეთში ექსტრადიცია. თურქეთში ჩაბუქს ბრალად ედება ფეტულა გიულენის ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, რომელიც მთავრობის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად არის გამოცხადებული.

ჩაბუქი საქართველოში 2002 წლიდან ცხოვრობს და ეწევა საგანმანათლებო საქმიანობას. 2017 წლის 25 მაისს ის საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებმა თურქეთის რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე, დააკავეს და თბილისის საქალაქო სასამართლომ სამი თვის ვადით საექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა. მიუხედავად ამისა, Amnesty International განცხადებაში ხაზს უსვამს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გასცეს ექსტრადიციის დაკმაყოფილების შესახებ ბრძანება.

განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ არსებული ინფორმაციით, 2016 წლის შემდეგ თურქეთის მთავრობა ზეწოლას ახორციელებს მოკავშირეებზე, რათა მათ ფექულა გიულენის სავარაუდო მხარდამჭერების წინააღმდეგ სამართლებრივი

ნაბიჯები გადადგან. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ არსებობს სარწმუნო მტკიცებულება, რომ გიულენის მოძრაობასთან კავშირში ეჭვმიტანილ პირებს უკანონოდ აკავებენ და აწამებენ, რაც დოკუმენტირებულია Amnesty International და სხვა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მიერ. Amnesty International ხაზს უსვამს, რომ საქართველო როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, ისე ეროვნული კანონმდებლობით ვალდებულია არ დააბრუნოს პირი იმ ქვეყანაში, სადაც მას შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

საერთაშორისო ორგანიზაცია მოუწოდებს საქმით დაინტერესებულ პირებს, შესაბამისი წერილებით მიმართონ საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილსა და იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს, რათა საქართველომ შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები და არ მოახდინოს დეპორტაცია, ექსტრადიცია ან სხვა ფორმით მუსტაფა ჩაბუქის დაბრუნება ქვეყანაში, სადაც ის შესაძლოა გახდეს წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან ადამიანის უფლებათა სხვა სერიოზული დარღვევების მსხვერპლი გახდეს.

8. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

8.1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი

2017 წლის 15 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის შექმნიდან 4 წელი შესრულდა. დეპარტამენტის შექმნის მიზანი იყო პოლიტიკურ დღის წესრიგში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირების ხელშეწყობა და ამ საკითხების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. დეპარტამენტმა ოთხი წლის განმავლობაში არაერთი წინადადება და რეკომენდაცია შეიმუშავა სხვადასხვა უწყების მიმართ და არაერთი სპეციალური ანგარიში დაწერა მონიტორინგისა და საინფორმაციო შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი ასევე განიხილავს ინდივიდუალურ საქმეებს. 2017 წელს, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ სახალხო დამცველისადმი მიმართვიანობა საგრძნობლად არის გაზრდილი. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ შესწავლილი საქმეების 80% ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობას შეეხება. ასევე აღსანიშნავია სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ჩარჩოს რეგულირების საქმეში შეტანილი წვლილი. 2014 წელს სახალხო დამცველმა დაამტკიცა პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის, ხოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სახალხო დამცველის ვებ-გვერდზე განთავსებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მომზადებული საჯარო ელექტრონული სასწავლო კურსი სექსუალური შევიწროების საკითხებზე.

მნიშვნელოვანი მიღწევაა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ პარლამენტისადმი წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება, რომლის მიხედვითაც საქართველოში 17–დან 18 წლამდე პირთა ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია.

8.2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის აქტივობა

მაისში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა პენიტენციური დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებებში 20 ვიზიტი განახორციელა და 88 პატიმარი მოინახულა.

ვიზიტები სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების და შეტყობინებების საფუძველზე დაიგეგმა. პატიმრების მონახულების დროს დაფიქსირებული საკითხების თაობაზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა განახორციელა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება და მიმართა სახელმწიფო ორგანოებს პატიმართა უფლებების სავარაუდო დარღვევების შესახებ.

8.3. მომართვიანობის სტატისტიკა

მაისის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 877 განცხადება.

დასაშვებობის გავლის შემდეგ 719 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 14
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 46
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 279
- რეგიონული დეპარტამენტი — 230
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 51
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 49
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენ-

ტი — 15
- ანალიტიკური დეპარტამენტი — 10
- თანასწორობის დეპარტამენტი — 22
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 3



შემოსული განცხადებები **თემატურად** შემდეგნაირად გადანაწილდა

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა — 1
- ინფორმაციის მიღების უფლება — 16
- დისკრიმინაცია — 10
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭიანურება — 1
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება — 14
- ეკოლოგიურ-გარემოსდაცვითი უფლებები — 5
- დევნილთა უფლებები — 9
- სოციალური დახმარებს საკითხი — 25
- შრომითი უფლებები — 5
- საკუთრების უფლება — 13
- უფლება სათანადო საცხოვრისზე — 5
- პატიმრობების პირობები — 193
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა — 58
- წამება და არასათანადო მოპყრობა — 30
- ბავშვის უფლებები — 28
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები — 40
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები — 8
- სხვადასხვა — 364



მაისის თვეში სახალხო დამცველის **ცხელი ხაზის ნომერზე – 1481** შემოვიდა 600 სატელეფონო ზარი; მათგან – 281 მოქალაქეს ტექნიკური ხასიათის, ხოლო 319 მოქალაქეს სამართლებრივი ხასიათის კითხვებზე გაეცა პასუხი.

კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ოზურგეთი:
ჭავჭავაძის 14
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70;
591 96 88 82

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ.: 0415 22 36 11
მობ.: 595 52 53 56

ბათუმი:
მაზნიაშვილის 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 595 80 78 43

მარნეული:
რუსთაველის 51
ტელ.: 0357 22 19 70
მობ.: 595 52 53 57

გორი:
სამების N1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 551 66 14 77

ქუთაისი:
რუსთაველის 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

თელავი:
ჩოლოყაშვილის 3
მობ.: 591 88 35 38
ტელ.: 0350 27 99 27

ცხელი ხაზი – 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ნიკო თათულაშვილი
ლევან მესხორაძე